


ჩემი პირადი

სიმონსონის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисе, в редакцію «Дრობის»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.



გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

უხუცესი ბანსკაძის...
სტრიქონზე რვა კაპ. განუხადებს მორედაქციო კომიტეტს რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოწმებს დასაბუთებულ გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდვს.

მიიღება ხელის მოწერა

მოძიებულ 1884 წლისათვის გახეთს

დროებაზე

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
თბილისში, ვანო როსტომიძისაგან.
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
ზორში, საზოგადოების დეპოში, ადალო თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გახეთი: В. Тифлисе, в редакцію «Дრობის».

ფასი ხელის-მოწერისა:

Table with 2 columns: Subscription duration and price.
წლით (12 თვით) — 9 მან.
11 თვით — 8 მან. და 50 კ.
10 თვით — 8 მან.
9 თვით — 7 მან. და 50 კ.
8 თვით — 7 მან.
7 თვით — 6 მან.
6 თვით — 5 მან.
5 თვით — 4 მან. და 50 კ.
4 თვით — 4 მან.
3 თვით — 3 მან.
2 თვით — 2 მან.
1 თვით — 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.
ხვედრი ფული ხელის-მოწერა გახეთის დაბარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

ზინაური ძროხისა

პრიკაზის საქმეზე მიქცეული ეხლა თითქმის სრული ყურადღება ჩვენის საზოგადოებისა და ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ ზოგიერთა გარემოება ამ საქმისა შევატყობინოთ ჩვენს მკითხველებს. ამ დღეებში გადაწყდა, რომ პრიკაზიდან აღარ გაიყვანა არაერთი სესხი აღარც მამულებსა და შენობებზე და აღარც წერილმან ნიეთებზე. რაც შეეხება სოფლის მამულებზე და აღარც პატივებს, როგორც ისმის, საქმე ამ გეარად არის დაყენებული: ვითომ მამა-პაპულ სოფლის მამულებზე აღებული ვალი

მოვალეთ ვბატყებთ. (ზოგნი ამბობენ მხოლოდ ნახევარი ვბატყებთ). იმ მოვალეებმა კი, რომელთაც ვაჭრობით (ტორგით) ნაყიდი მამული აქეთ დაგირავებული პრიკაზში, ვალი უნდა სრულად გადაიხადონ.

მკითხველებს ვხსოვებთ ჩვენს გახეთში გამოცხადებული ბბ. ჩინჩილაძეების პირობის წერილი, რომელშიაც სასაცილო მუხლთა შორის ოთხნი ძმანი პირობასა სდებდნენ აღარ ვილოთოთ, უბრალო ხარჯები თავიდან ავიცილოთ და ჩვენს მეზობლებსაც ავაცილოთო. ჩვენ მაშინვე ვთქვით, რომ ეს ახირებული პირობა გამო-

წვეული იმ ურიგობისაგან, რომელიც უბრალო ხარჯებს მოსდევს და დარწმუნებული ვიყავით, რომ ბევრი ლიხთ-იქითელი თანაგრძობით წაიკითხავენ ამ პირობებს და არ მიხვდებიან იმის ზოგიერთა უცნაურ მუხლებს. მართლაც და ჩინჩილაძეების პირობა ისე ბევრს მოსწონება, რომ იმერეთის სხვა-და-სხვა მხრიდან მოგვდის რედაქციაში წერილები, კარგი იქნებოდა მაგისტანა პირობა სოფლითი-სოფლად დაგვედო და უაზრო და უგეანო ხარჯები თავიდან აგვეცილიათ.

სოფ. ძმ-თილამ (პურია) გვწერს: აკვირას, 27 ნოემბერს, სალამოს 8 საათზე, გადიწვა ძიმიტის სოფლის კანცელიარია და ყოველისფერი, რაც შიგ საქმეები და ავეჯეულა იყო. აქედე კარგი, რომ ცოტათი დაეთოვლა, თორემ კანცელიარიასთან ერთად გადიწვებოდა, როგორც სკოლის შენობა, ისე სიმინდის მაღაზია, და ცეცხლი ორიოდ მეზობლად მოსახლე გლეხსაც შეეწირავდა, რადგან ამ უკანასკნელთ სახლები ისლითა აქეთ დახურული. ახლა სოფელი ხელ-ახლავ კანცელიარის აშენებას უნდა შეუდგეს, მაგრამ ხალხი ორ ნაწილად გაიყო: ძიმიტელები ცალკე აპირობენ გასვლას და მამათისა და ბაილეთისა ცალკე. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს აზრი შევსრულდებინოთ. მითად მთელს ამ სოფელს, რომელშიაც 300 კომლი სცხოვრებს, უჭირდება სკოლისა და კანცელიარის შენახვა და ცალკე უფრო როგორ შესძლებენ.

იმერეთიდან გვწერს: სოფ. ნამაშეში, ხონს ახლო, ოქტომბრის გასულს მტრობით გადასწვეს თავადი მ. ნიე-ძე, რომელიც, მისი მტრის სასიხარულოდ, იმევე ღამის გადაიქცა, როდესაც მის სახლ-კარს, ორმოცამდე დამწყვედულს ღორს და ხუთასამდე ფუთს სიმინდს აღმოაგელეთის ქარით გაძლიერებული ცეცხლი ედებოდა... ამ უგეანის საქმის ჩადენა შეეწამა მიცვალებულის რამდენიმე სახლის-კაცთაგანს, რომელნიც მიცვალებულთან გადამტრებულნი ყოფილან და სხვა აე-კაცობაში, თვით ცეცხლით უკულმართობაშიაც, გაჩვეულნი... საქებია ის ფიცხელი და ჩქარი გამოძიება, რომელიც ამ საქმეზე მოხდა და რომელმაც ბრალდებულებს გამამტყუნებელი ჭაქტებიც დაუბეჭიდა... ბრალდებულნი დაიჭირეს კიდევ... მალაქში ხმა არის, ვითომც სოფელს უნდა ეკითხოს, იცნობს, თუ არა დაჭერილებს ამ საზოგადოებიდან სხვაგან გადასახლების ღირსად. ამ შემთხვევაში სოფელი თევზის მდგომარეობას წარმოგვიდგენს, რომელსაც პირი წყლითა აქვს საფე... იყო მაგალითები, რომ სოფელს თქმით ბევრი დაუშავდა.

იქილამე გვწერს: «სულ ერთი თვეც არ იქნება მას აქეთ, რაც ხონიდან მეთაის მიშვალმა მისმა მალ-ყოვლად - უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარქოსმა გზად გამოიარა ზემოთ მოხსენებულ სოფლებში. სოფ. ძუხის მცხოვრებლებმა არა ერთი და ორი არხა მიართეს მის მალ-ყოვლად-უსამღვდელოე-

«დროების» ტელეტონი, 13 დეკემბ.

ხალხური ლექსები.
გამენის მესრე ვაყვავი,
მემა მეცვა და მესვია;
ასი მამიკაჟს თათარი,
ორასი დამიხესია
არსად რა მითქვამს ქამდინ.
არსად რა დამიკვებსა; —
ვაუ-ვატს ქალბუში მკვებსარსა
თავში დატვა მესია!
ჩვენ ბატონი ერეკლე
ერთა პატარა კანია,
ფრანგულზედ ხელი გაიჭრა
ჭარი შვიდ პირად დახია.
ბძანებდა დაშარის ჯვარი
თავის მოწყალე შირათა:
— სმელ გორზედ მედგა მე მუხს,
ცას ესა ოქროს შიბითა;
სულელმა ერისთვის-შვილმა
გადამბრუნა ძირითა.

უფრო ბევრ მღაცველ მამადის,
რა დამაკული ამითა?
უკუღმა გქონდეს საყულო
შვილთა, შვილა-შვილთა,
ხელიც ნუ მოემართების,
რომ ადგებიან დილითა.

უხუცესი სხობრებიდან

ბერლინში ამ ორის წლს წინად შესდგა სასკოლო საზოგადოება, რომელიც სწორედ ყურადღების ღირსია. ამ საზოგადოების წევრთა რიცხვი მცირე ხნის განმავლობაში 30,000 კაცზე მეტი შესდგა. წევრთა შორის ყოველის წოდებისა და ხელობის კაცსა ნახავთ, პედაგოგებს გვერდში უდგანან უმაღლესნი პირნი სახელმწიფოსი, პარლამენტის წევრნი, დიდი მეცნიერნი და სწავლულნი, მაღალის ხარისხის მოხელენი, მდიდარნი მექარხნენი, მიწის მუშაკნი და სხვანი... წესდებს ძალით, საზოგადოე-

ბა ეცდება, რათა თავის ხარჯით შეინახოს და გამართოს ნემეტა შორის სკოლები, ბიბლიოთეკები, გააერცელოს ნემეტური წიგნები ან უფასოდ, ან იაფ-ფასად, მოიპოვოს კარგი მასწავლებელნი—ნემეტნი და სხვა შესაფერი საშუალებანი იხმაროს...
ზემო ნათქვამიდან კარგად დაინახავს მკითხველი, რომ ამ საზოგადოებას საზღვარი არა აქვს. მითი სიტყვით, ნემეტები საცა კი სცხოვრებენ, ყველგან საზოგადოება ვალდებულია ზემო ჩამოთვლილი საშუალებანი იხმაროს... ამ მოსაზრებას უფრო ნათლად ამტკიცებს საზოგადოების დრო-გამოშვებითი გამოცემა—ბროშიურა. მითს ამ ბროშიურაში, სხვათა შორის, სწერია: ყველაზე პირველად გვსურს, რომ სამშღვარ-გარეშე მცხოვრებელმა ნემეტებმა თავის ეროვნებას მისდიონ...
ამ წერილიდანაც კარგად დაინახავს მკითხველი «საზოგადოების» დანიშნულებას; ამას მეტი განმარტება

აღარ ესაჭიროება. ახლა მოგახსენებთ—თუ საითკენ მიმართა «ნემეტის სასკოლო საზოგადოებამ» სამოქმედოდ. შევლაზე პირველად მენგრიის ნემეტებისაკენა ჰქნა პირი. იქ, კარგი ხანია, შესდგა წმიდა მლადისლავლის საზოგადოება, რომლის დანიშნულებაცაა გაამადიაროს ყოველი ხალხი, მენგრიაში მცხოვრებელი მართლაც იმის მეცადინეობას დიდი სარგებლობა მოაქვს დანიშნულების აღსრულებისათვის. ნემეტებიც ახირებულნი არიან. სხვის თვალში ბევრი დიდ რამედ ეჩვენებთ და თავის თვალში კი საძირკველსაც ვერ იმჩნევენ. ნემეტები არ იყვნენ, რომ ან სულ გაანემეტეს, ან უპირებენ განემეტებას, პოლიაკებს, სლავიანებს, რუსებს და სხვა წვრილმანა ხალხსა? ახლა რაღას ჯავრებენ? «ნუ იქ ავსა, ვისაც ნუ გეშინიანო».

სობას იმ უსამართლობაზე, რომელიც ემართებათ მათ ხონელ სვიმონ-დოქიპეტორიკასაგან....

აი ერთი მაგალითი იმისი, თუ როგორ ხშირად მომრიგებელი შუამავალი წამკიდებელად გადაქცევა ხოლმე: ერთი კორკუსონდენტი გეწერს: «მე შემხვდა სოფ. მუბში რამდენიმე გლეხი, მდუღარის ცრემლით მტირალი. საწყლებს აგერ მეცხრე წელიწადია, რაც ადგილობრივი მომრიგებელი შუამდგომლისათვის ნაბატონარის აგიაშვილის გარდასაცემად და ადგილების დასახსნელად 2000 მანათი მიუციათ და, მათდა საუბედუროდ, ეს ფული მომრიგებელ შუამავალს თავის ჯიბეში ჩაწყებია. ამ გვარად, თუმცა გლეხებს ფული გადახდილი აქვთ, მიწა-წყალი ისევ დაუხსნელია; ბატონი კანონით გლეხს ლალებს ართმევს, და გლეხი კი შუამდგომელს ამაოდ შესჩივის!...»

საინგილოდამ გეწერენ: «ჩვენში მართლ-მადიდებლობის გამაგრებელ საზოგადოებას რამდენიმე სასწაულებელი აქვს გამართული, მაგრამ მათი გავლენა ხალხს არაფრად დაეტყო. მართული ენა უფრო მუსულმან-ინგილოებშია გაერცვლებული, ვიდრე ქრისტიანებში. უწინ, როცა მასწავლებლებათ იყვნენ აბ-ში ი. როსტომაშვილი და ი. ტატეშვილი, 100 მეტი ინგილოზ ბავშვი სსწავლობდა. ბ. როსტომაშვილის მამის საკვირაო სკოლადა ჰქონდა, რომელშიაც დადიოდნენ ხანში შესულებიც და ისინიც, რომელთაც ამ სკოლის კურსი გაეცლოთ. მხლა ამ სკოლაში ორი მასწავლებელია და არც ერთმა ქართული არ იცის. ინგილოშეგირდების რიცხვი ამ ქვეყანაში მხოლოდ 15 თუ 18-ია.»

სიღნაღილდამა გეწერენ, რომ იქაურ ტერტერას ძალიან უყვარს მოგზაურობა თავის საბლადოჩინოში სოფლით-სოფლად და თავის

ზიდენტმა ტისამ სთქვა, რომ რამდენიმე ვაზეთის რედაქტორები პასუხის-გებაში მიეცევი იმიტომ რომ მენგრის მმართველობის შესახებ ცუდ ხმებს აერცვლებდენ... შემდეგა სთქვა, ახლანდელ ნემეცურს საქმეს ოფიციალური ხასიათი უნდა მიეცესო. შეიძლება ამ ბერმანის სკოლის საზოგადოების მოქმედებამ ხალხთა შორის საქმე აღძრასო, რადგანაც ნემეცები სხვა სახელმწიფოებშიაც ბლომად მოიძებნებაო. სხვა ხალხი არც ერთ სახელმწიფოს არა ჰყავს ისეთ პატივ-ცემად და თავისუფლებაში, როგორც ჩვენაო. აღზას-ლოტრენის და პოზნანის მცხოვრებლების მდგომარეობას რატომ არ შეადარებენ აქაურ ნემეცებისასაო. მართალია, აქ ნემეცური სკოლების რიცხვი მცირდება, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი სრულიად არ არის, თვითონ აქაურ ნემეცებს ასე სურთო.

ტისას სიტყვა დიდის აღტაცებით იქმნა მიღებული, მაგრამ ამის შემდეგ

ვის სტუმრობით ხან ერთს ვაზბენდინერებს, ხან მეორესაო. ამისთანა ძვირფასს სტუმარს, რასაკვირველია, შესაფერად ჰხედებიან და, როცა წაბძანდება, იმდენ საგძალს გაატანენ ხოლმე თან, რომ სიღნაღშიაც კარგა ხანს ეყოსო. ამ ძღვენს, ამბობენ, სხვა უფრო ადვილად საზიდავი ძღვენიც მოსდევსო.



თბილისის კარძო. ბანკში.

თბილისის კარძო ბანკები დაარსდნ წევრებისაგან შეტანილის ფულით. თავის შემდგომ-და-გვარად ბევრმა შეიტანა საწევრო ფული, რომელიც დღევანდლამდე ისევ ბანკებშია. ყოველ წევრს ბანკიდან ნდობა შეტანილი ფულის კვალობაზედა აკვს, მაგალითად: ვისაც ათი თუმანი აქვს შეტანილი, იმას ბანკიდან ნდობა აქვს ასის თუმნისა. ვისაც მეტი — მეტს ანდობენ, რაკი ესაა ხალხში უპირულობა განდა, და ბევრი მაგალითებიც გვიმტკიცებს სხვა-და-სხვა ალაგებში ბანკის ფულების დაკარგვას, ამისათვის კარძო ბანკის მმართველები ფთხილობენ ფულის გაცემას. თამასუჭხედ მეორე ხელის მომწერი პირი თუ ნამდვილად სანდო არ არის, აღარ აძლევენ. არავინ არის წინააღმდეგი ამ კეთილის და გონიერის განკარგულებისა, მაგრამ სამწუხარო ეს არის, ეს საფთხიდე წევრებისათვის ერთ-ნაირად არ მოქმედებს: ზოგ წევრს შეუტანია ხუთასი მანეთი, ამას ხუთასი თუმნის ნდობა აქვს, მაგრამ ხუთასის თუმნის მაგერ ხუთასს მანეთს არ აძლევენ და თუ მისცემენ, უნდა ჯერ პირველი შესატანი ფული ნაღდად წარადგინოს ვადასუდე და მეორე ახალი ითხოვოს. არიან ამ ბანკებში ისეთი წევრებიც, რომ ათას თუმნით გამოუტანიათ, სხვა-და-სხვა არა სანდო პირთა თავდებობით. ვადასუდე, ფულის მაგერად, საარგებელს წარადგენენ, ახალ თამასუჭს და ამითი ატრიალებენ თავიანთ საქმეს. ეს განსხვავება

სკოლის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა გამოცხადდა წერილი. მკითხველი, რასაკვირველია, ადვილად მიხედება, თუ ვის და რის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული ეს წერილი. საზოგადო აზრი ამ ღია წერილისა ამბობს, რომ თუ მენგრისათვის ქვეშევრდომ ხალხს ძლიერ არ ულოლოია, ის თითონაც დაიღუპება და დაღუპავს «მშვიდობას და განათლებას ჩვენი ქვეყნის ნაწილში»...

საკვირველება ის არის, რომ «ნემეცური სკოლის საზოგადოებას» იქიდან შეხვდა წინააღმდეგობა, საიდანაც სრულიად არ მოელოდა და არც მოსალოდნელი იყო. წარსულ წელს ხუთ ქალაქში შეიკრიბა ნემეცების ურიცხვი საზოგადოება და დაადგინა შემდეგი განაჩენი: «ჩვენ ხუთი ქალაქის მცხოვრებნი ერთ ნემეცნი, მიმყოლნი ჩვენთა თანამემამულეთა პატრიოტული მაგალითისა, ესთვლით ჩვენს სამღეთო მოვა-

ამ ბანკებში იქიდან წარმოსდგება, რომ მიდგომილობას მეგობრობას და ნათესაურ ძადას დიდი ადგილი უჭირავს. ამისთანა წინ-დაუხვდავი მოქმედება ბანკის გამგეობისა მეტად ვნებას აძლევს ბანკის საქმებს. ამ კვანს მოქმედებას დიდი კონტრაფიქტობა. თუმცა ანგარიშები იბუკდება წლის თავზედ გასეთებში, — მაგრამ ეს არა კმარა. კონტრაფიქტობა იმიტომ არის საჭირო, რომ საზოგადოდ დაარსებულმა ბანკებმა საზოგადოებრივ მოუტანონ საარგებლობა ხალხს, თორემ, შეიძლება, სხვა ბანკებსაც ის დაეპართოთ, რაც ჯანჯუღა-ზოგებმა კომერციულ ბანკს დამართეს...

უნსტოეთი

შპანიიდან იწერებიან გაზეთებში, რომ ნ დეკემბერს (ახ. სტ.) შპანიის მეფეს მიუღია თავისთან ბერმანის ქურთალ-გაზეთების წარმომადგენელი და მათ რიტხეში ერთი გაზეთის კორესპონდენტიც. მისს დიდებულებას უთქვამს, რომ ამ უკანასკნელს ცხრა წელიწადში ბევრი ცელილება მოხდა შპანიის ჯარშიაო და ესხა ძრიელკარგად არის იგი მოწყობილი და გაწერთილიო. იმ შეურაცყოფას შესახებ, რომელიც მას ჭრანცუხებმა მიაყენეს პარიჟში, მეფემ სთქვა, რომ ის ძალიან მოხარულია ამ შემთხვევამ გამოაჩინა ის, თუ რაკარგად ჰყვარებია შპანიის ხალხს თავისი მბრძანებელი, და ამასთანავე სწორედ ეს შემთხვევა იყო მიზეზი, რომ შპანიამ ასე დიდის ამბით და დიდებულად მიიღო ბერმანის მემკვიდრე პრინციო. «ეს შემთხვევა რომ არ ყოფილიყო — განაგრძობთურმე მეფემ — მე ასე მტკიცედ არ გადავწყვეტიდი ბერმანისთან დაახლოვებასა. იმის შემდეგ თითქმის რესპუბლიკურებიც ჩემს მხარეს გადამოვიდნენ და სფრანვეთისადმი სიმძულვარე დღითი-დღე ძლიერდება».

ლობად, «ნემენცური სკოლის საზოგადოების» აკტიაციის გამო, თავისუფლად და პირ-და-პირ გამოვაცხადოთ შემდეგი: ის ხმები, რომელიც გავრცელებულან, ვითომც ჩვენ ვენგრისელების მხრივ შევიწროებულ მდგომარეობაში ვართ, არის წმინდა სიცრუე და ჩვენი მდგომარეობის გაუყვებლობა; პირ-იქით, ჩვენ მოხარული ვართ, რომ ისეთივე უფლება გვაქვს მონიჭებული, რაც ადგილობრივ მცხოვრებ ვენგრიელებს. ძვირძოდ კი ჩვენ სრული ნება გვაქვს ჩვენი ენა ეკლესიებში და სკოლებში კერძოდ და ოჯახში სურვილისამებრ ნახეთ გარდა ბერმანისა, რომ ნემეცს ისეთი პატივი ჰქონდეს, როგორც მენგრისაში; ვენგრიული ენის შესწავლას ჩვენ ესთვლით მიუცილებელ საჭიროებათ, როგორც სახელმწიფო ენისას; ამიტომაც ვცდილობთ ეს ენა საყოველთაოდ გასაგებ ენად გავხადოთ ჩვენ შორის. მაგასად

შევიბტიდგან მოსული ამბებიდან ვტყობილობთ, რომ ცოლ-წინასწარმეტყველი მანდი ცდილობს თურმე აბისინიის მეფე იოანეს დაუმეგობრდეს, რადგანაც ჯარი ამ უკანასკნელისა აპრობს თურმე იმ ადგილების დაცემას, რომელიც მასსუას მახლობლად მდებარებენ. მანდის წერილი მიუწერია ამ მეფისთვის და სთხოვს თურმე, — თუ კავშირს არ შეჰკრავ ჩემთანა, ჩემს მოწინააღმდეგეთ შინაც ნუ მიემხრობი და ჩხუბს ნუ დამიწყებო. იქის გრძელი წერილი შემდეგი სიტყვებით გამოიხატება: ჩვენში ნურავითარი განხეთქილება ნუ იქნებაო. მეფე იოანეს პასუხად მიუწერია: «ვისურვებ, რათა წერილი იოანესი, რომელიც ღმერთმა ჩრეტულ-ჰყო მეფედ სიონისა, მეფედ მეფეთა ვთიოპიისა და გარემო მისთა ადგილთა, მიუვიდეს მას, ვინც თურქთ წინასწარმეტყველად მიჩნიათ. ღვთის მადლით და სიონის ღვთისმშობლის მეოხებითა მეც და ჩემი ჯარიც კარგად ვახლოვართ. პურთხეულიყოს ამიერ და უკუნისამდე მოწყალეობა ზენაარისა. შენ როგორა ხარ? შენ მწერდი: მე დინი წინასწარმეტყველი ვარო; მე არ მანდა შენთან ჩხუბი; ჩვენ შორის მშვიდობა იყოსო; მე არ ვიცი ღვთის ნებაა თუ არა, რომ ჩვენ ურთიერთშორის ომი გავმართოთ; მაგრამ სულ ერთია! მანა ჩვენს გულებს შორის არ არის ომი? მე ქრისტიანი ვარ, შენ მუსულმანი. იქ, სადაც მე ვარ, შენ არ შეგიძლიან იყო; ხოლო სადაც შენა ხარ, მე არ შემიძლიან მშვიდობიანად ვიცხოვრო».

ამ წერილის შემდეგ ძიარში მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ამ ორთა ეგვიპტის მტერთა სუდანის მემამოხეთა და აბისინიელთა შორის-მორაგება შეუძლებელია.

სრუ-წინასწარმეტყველი მანდისაგან ეგვიპტის ჯარის მეორედ დამარცხების შესახებ შემდეგი ცნობები გაზეთებში მოყვანილი: «ეგვიპ-

ჩვენთა შამა-ჰაჰათა, ვესურს ვენგლიული ენა ჩვენს შვილებს ვასწავლოთ». ამ წერილში ვენგრიის ნემეცები პირ-და-პირ უარს უტყვადებენ, «საზოგადოებისთვის» შემწეობას უარსყოფენ, რადგანაც ეს შემწეობა ვენგრიის მთავრობას არ მოსწონს.

ამის შესახებ ამბობს ერთი ნემეცური-ანგლიული გაზეთი: გერმანიული ნემეცები იძახიან — ვენგრიის ნემეცები უნდა გამოვიხსნათო, ესენი კი ეუბნებან — ჩვენ არავისაგან დახმარება არ გვინდა; ვისაც ეჭირება, იმას დაეხმარეთო... ამიტომ იმედი

შეიძლება ეს დასკვნა ხალხის ნამდვილი გულის თქმის ნაყოფი არ იყოს, მაგრამ, რაც უნდა იყოს, როგორც საზოგადოების მიმართულება, ისე ვენგრიელი ნემეცების პასუხი და ვენგრიის მმართველობის გავლენა ამ ხალხზე ღირს შესანიშნავია.

გადაღებული.

ტის ჯარი ერთის მაიორის წინამძღოლობით მაიორს სანკატოსკენ, რომელსაც მემბოხენი გარს ერტყენ. ჰამის მახლობლად დაცნენ მათ მანდის მომხრენი. ჯარი მარად განწყობა საომრად და შეება მტერს. ძრიელი ბრძოლა გაიმართა. პირველად ის რაგი შეირყა, რომელსაც ბაზიბუხუყები იღვენ, და შემდეგ დანარჩენი წყობანიც თან მიჰყენ. მკვიბტის სალდათები თავ-განწირულად იბრძოდნენ, ვიდრემდის სულ ერთიანად არ ამოივლოდა მათი რაზმი, რომელიც, ბაზიბუხუყების გარდა, 690 კაცისაგან შესდგებოდა. ამ რიცხვიდამ მართა ორი ოფიცერი და ცხრა სალდათი-ღა გადაჩა ცოცხალი და ამათ შეატყობინეს სუაკიმში ეს საშინელი ამბავი.

მკვიბტელნი ძლიერ შეუშინებია ამ დამარცხებას და ისეთს ძრიელს სასო-წარკვეთილებაში ჩაცვივილან, რომ გაზეთები ურჩევენ ინგლისს გამხნევოს როგორმე ეგვიპტის მმართველობა.

— მსმალეთის მმართველობას განუზრახავს მკვიბტის დახმარება მანდისთან ბრძოლაში, მაგრამ ამაზე ინგლისი არ დათანხმებულა, და ამ გარემოებას ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია მსმალეთის მმართველობის წრეებში. ამ შემთხვევას სტამბოლში დიდს მნიშვნელობას აწერენ და დარწმუნებულნი არიან — ინგლისი იმიტომ არ თანხმდება ამაზედ, რომ იმას უნდა კიდევ დიდხანს ეყრას მკვიბტე თავის ჯარებითაო, და მსმალეთის გაულენა და მისი უზენაესი უფლებანი ეგვიპტეზე შემამციროსო. ბაზეთების სიტყვით,

მსმალეთის მმართველობაც მკვიბტის მმართველობაზედ ნაკლებად არ შეუძრუნებია მანდის მოქმედებას; სტამბოლში ძალიან თურმე შიშობენ — თუ ცრუ-წინასწარმეტყველი ამაზე მეტად გაძლიერდა, ეს გარემოება არც მსმალეთს დააყრის კეთილსაო, ისედაც შეურყელს სახელმწიფოს, უფრო შეარყევს და დიდს არეულობას მოახდენსო.

მართა მკვიბტელებს და მსმალეებს არ გაუფრთხო ძილი მამაცმა მანდომ, — არც ევროპელებს დააყენა იმან კაი დღე. ინგლისურ გაზეთებში სწერენ, რომ მანდი ამ ცოტახანში უთუოდ ხართუმს დაეცემაო, და ამის გამო ამ ქალაქში მცხოვრებ ევროპელებს დიდი ალიაქოთი შეუდგათ და ფაც-ფუცით გარბიან იქიდამაო.

— მკითხველებმა უწყიან ჩვენს გაზეთიდან, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ გადასწყვიტა ახალი კრედიტის მიცემა ტონკინის ექსპედიციისათვის. როგორც გაზეთები დამეტყობილობთ, ამ ამბავს ძრიელ კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია, როგორც თვით საფრანგეთში, აგრეთვე ევროპაშიაც. პოლიტიკის მცოდნე წრეთა ფიქრით, საფრანგეთში ამ ჟამად იმაზე უკეთესი სამი-

ნისტრო არ შეიძლება შესდგეს, როგორც არის ჟურის სამინისტრო, და პალატამ ზემო ნათქვამი გარდაწყვეტილებით განამკვიდრა ეს სამინისტრო. ხალხის წარმომადგენელთ შეივნეს, რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა ასე დახლართვის მიზეზი მართა ჟური არ არის, — ამაში იმის წინა-მოადგილეთ უფრო ბევრი დანაშაული მიუძღვით, და ამის გამო არ შეიძლება და უსამართლო-საც იქნება, ყოველივე ბრალი ჟურის დასდონ. თვით ჟური ძალიან საფუძვლიანად და სამართლიანად შენიშნა უკანასკნელს დეპუტატთა პალატის კრებაზე, რომ უმთავრესი მიზეზი გარეშე პოლიტიკის არე-დარევისა, მინისტრების მალ-მალ ცვლა არის, — ისინი, რადგან ხშირად იცვლებიან, ველარაფრის გარიგებას ვერ ასწროებენო. ამაზე თითქმის მთელი პალატა დაეთანხმა ჟურის, გარდა უკიდურესი მარცხენა მხარისა თავის ფიცხი მოთავე ძღმენსოთი; პალატას ამ დასს ჟურის სამინისტრო მეტის-მეტად ეჯავრება, ყოველს ღონი-ძიებას ხმარობს, იმას დასამზობლათ და ამის გამო ხსენებულს კრებაზე ძრიელ ეწინააღმდეგებოდა მას. ამ დასზე ნაკლებ არც უკიდურესი მარჯვენა მხარე მტრობს ჟურის სამინისტროს და, აბა რასაკვირველია, არ დაჰკარგავდა შემთხვევას და ძღმენსოს მინებრობოდა. მაგრამ ისინი მაინც ვერა გახდენ-რა და მმართველობამ თავისი გაიტანა, ე. ი. კრედიტს მიიღო და სრული ნდობაც გამოეცხადა. მკვი არ არის რომ პალატის ამ გვარი გარდაწყვეტილება ჩინეთზედ საფრანგეთის სასარგებლოდ იმოქმედებს; ამით ის დარწმუნდება, რომ საფრანგეთი აღარა ხუმრობს და მტკიცედ აქვს გარდაწყვეტილი იარაღით დაიცვას თავის უფლება ტონკინში. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ის მორბილდება და იძულებული შეიქნება მოურიგდეს საფრანგეთს იმ პირობით, რა პირობითაც ამ უკანასკნელსა ჰსურს. მკვი არ არის, რომ მარკიზ ძენგი მოუთმენელად ელოდა ტონკინის საქმის დაბოლოებას პალატაში და ახლაკი დარწმუნდებოდა, რომ საფრანგეთი მართლა მზად არის ომისათვის. ნამდვილად ეს იყო იმის მიზეზი, რომ მორიგებაზე მოლაპარაკებას აქამდინ ასე აქიანურებდა; ესლა საქმის გარემოება შეიცვალა და საჭიროა ჩინეთმა ან ომი დაიწყოს, ან დაუთმოს, რასაც საფრანგეთი სთხოვს. ძენგმა პალატის გარდაწყვეტილება მაშინათვე აცნობა ტელეგრაფით პეკინში და, რალა თქმა უნდა, რომ ამისთანა ამბავი არაფრად იამებოდათ ჩინეთის მანდარინებს.

წერილი რადამტორთან.
ბ. რედაქტორ!
თქვენს გაზეთის საშუალებით (№№ 242, 244) გამოიწვიეთ ისეთი

პირნი, რომელთაც უკეთესი არითმეტიკული ტერმინები ეგულებათ — და სთხოვეთ — მომართონ რედაქციას, რომელმაც უნდა გადასცეს ტერმინების შემუშავებელთა კრებებს.

იმავე ნუმრებში დაბეჭდეთ სიაც, ხსენებული კრებებისაგან შემუშავებული არითმეტიკული ტერმინებისა.

მე ამასთან წარმოვადგენ სიას ზოგიერთა ტერმინებისას, ჩემგნით შეკრებულ-შემუშავებულებისას.

უკეთესი იქნებოდა იგინი სხვებზე, თუ უმდარესნი, — ეს დაფასება ეკუთვნის საზოგადოებას და ზემოხსენებულს კრებას. ჩემი სურვილია მხოლოდ, რომ ეს სიაც დაიბეჭდოს შესაძარებლად და მასზედ კრიტიკის წარმოსათქმელად, რადგან ყოველი პირადი თავის-მოყვარეობა საზოგადო საქმეში უადგილოა და რადგან საზოგადო საქმეა მხოლოდ პატივსადები ამ შემთხვევაშიაც.

აი ის სიაც:

- Числа именованныя — რიცხენი წოდებითნი.
- Число цѣлое — რიცხენი მკვრივი.
- Число дробное — რიცხენი მხხრეული.
- Классъ — ხარისხი.
- Сложение — შეკვცა.
- Вычитаніе — გამოორიცხვა.
- Рѣшеніе — გარდაწყვეტა.
- Слагаемыя числа — შესაკვცნი რიცხენი.
- Вычитаемое — გამოსარიცხი.
- Степень — აღმატება.
- Показатель степени — მაჩვენებელი აღმატებისა.
- Составное — შედგმული, შეზაფებული.
- Дробь — მსხრეული, ფენილი, დაქტუმაცებული, რდეული.
- Процентъ — ეასხი.
- ამას გარდა, იქნება კრებებს სახეში არა ჰქონდათ და საჭიროანი შეიქნენ შემდეგი ტერმინები:
- Единичная — ერთიანი, ცალეული.
- Пара — უღელი.
- Тройка — ცან კვტული.
- Четверка — ყვარო, ოთხიანი, ოთხეული.
- Пятерка — ხუთეული, ხუთიანი.
- Трехъпарная, шестерка — ჩანდრაბუხი.
- Нумерація — ნულა.
- 10,000 — ბეგერი.
- 100,000 — ბეგრის-ბეგერი.
- 1,000,000 — უშქური.
- 10,000,000 — უშტი.
- 100,000,000 — უშტის-უშტი.
- Арифметическій прогрессивъ — მუზნური თვლა.
- Минута — წამი.
- Секунда — წუთი.
- Терція — კესი.
- 1/60 терція — მასი.
- 1/3,600 терція — არდი.
- 1/16,000 терція — მეყი.
- 1/42,960,000 терція — წენი.
- 1/777,600,000 терція — ვაწე.
- 1/656,600,000 терція — ბლისი.

1/2,799,860,000 ტერცია — ნელევი.
აწუ მოკლედ უნდა იქნებოდეს გამოიხატება კესის შემდეგი:
1/60 კესი = მასი.
1/60 მასი = არდი.
1/60 არდი = მეყი.
1/60 მეყი = წენი.
1/60 წენი = ვაწე.
1/60 ვაწე = ბლისი.
1/60 ბლისი = ნენი.

და უფრო მოკლედ რომ ვსთქვათ, იქნება: კესი არის 60 მასი, მასი — 60 არდი, არდი — 60 მეყი, მეყი — 60 წენი, წენი — 60 ვაწე, ვაწე — 60 ბლისი და ბლისი — 60 ნენი. ამ გვარად, ბეჭდვის საშუალობა საზოგადო საქმის შემუშავებას არას აწყენს, თუ უფრო სარგებლობასაც არ მოუტანს, მით უმეტეს, რომ ბიერნი მცოდნე პირნი გარეშე ქალაქებშია ცხოვრობენ და კრებებში მოსვლას და დაწრებას კი გაუჭირებელიც ვერ შეიძლებენ და ზოგჯერ სასრულიადაც ვერ მოახერხებენ.

რაფ. ერისთავი.

სტუმრებში

(წარდლოეთის საგენცლისა.)
10 დეკემბერს.

მატარინოსლავი. გუბერნიის ერობის კრებამ დაადგინა: გადასდვას 4,000 მანათი სამაგალითო სახალხო სკოლის გასამართავად ბარონ კორჭის სახსოვრად; ეს სკოლა იმ საფუძვლებზე იქნება დამუარებული, რას საფუძვლებსაც განსვენებული ჰქადაგებდა.

ხარამში. ხარკოვის სამხედრო ოლქის სამსჯავროს განყოფილებაში განიხილა შავლოვსკში საქმე ვანმისტრი როგუზოვის შერისძიების გამო წინად-განზრახული მოკვლის თაობაზე და გადაწყვიტა: სალდათს უმაკოვს თოფით დახვრეტა, კრასილნიკოვს საქმედამო გატორგა და უნტერ-ოჭიცერს საველივს გატორგა, ექვსის წლის ვადით. განჩენი მწარედგინეს დასამტკიცებლად ოლქის ჯარების უფროსს.

პაუში. სამეფო სამსჯავრომ დაამტკიცა განჩენი პირველი ინსტანციის სამსჯავროისა შესახებ ტისსა-ესლარის საქმისა.

პარში. ცნობა შესახებ ძრან-ცუზებისგან სონტოის ადებისა 4 დეკემბერს, ოჭიკიალურათაც მტკიცდება. 5 დეკემბერს შატარა ციხე (ციტადელი) დაიპურეს მტერი წავიდა აქედამ, მაგრამ საით არ იციან. ძრან-ცუზებს მოუკვდათ 1 ოჭიციერი და 11 სლხდათი და დაეჭრათ 11 ოჭიციერი და 55 სალდათი.

11 დეკემბერს.

მატარინოსლავი. «მმართველობის მოამბე» იუწყება, რომ 28 ნოემბერს, როდესაც ხელმწიფე იმპე-

რატორი სანადიროდ ბანდებოდა, ცხენები გაფრთხნენ, გაიტაცეს და გადმოაბრუნეს სანა, რომელიც ხელმწიფე იჯდა; მისი დიდებულება გადმოვარდა და ძლიერ დაუშავდა მარჯვენა მკლავში; ძვალი არ გასტენია, მაგრამ სახსარი კი დაუშავდა: პირველად მისი დიდებულება ძლიერს ტკივილებსა გრძობდა, რისაგამოც მოუსვენრად ეძინა; ეხლა კი დაუწყებდა ტკივილი, მაგრამ მარჯვენა მკლავის სახსარში ანთება მაინც კიდევ აქვს, მისი დიდებულების ავად-მოყოფობა იმ ნაირია, რომ საჭიროა სრული მოსვენება და მისს სრულიად მორჩენას კარგა ხანს დასჭირდება წამლობა. საზოგადოდ ხელმწიფე იმპერატორი ჯან-მრთელად არის.

ხმებია, რომ გარემო საქმეთა მინისტრი იანვარში დაბრუნდება რუსეთში და გზაზე ვენაში შევივლის.

გუშინ ურთიერთ შორის დაზღვევის კრებას უკანასკნელი სხდომა ჰქონდა. პროტოკოლების წაკითხვის შემდეგ რამდენიმე პირმა სიტყვა წარმოასიტყვა; დღეს თავმჯდომარე და წარმომადგენელნი კრებისა წარუდგებიან მინისტრს საქმეთა მინისტრს და ცეცხლის საქრობ კომანდას გასინჯავენ; 13 დეკემბერს მინისტრსა და წარუდგებიან.

ლონდონი. გლადსტონმა გამოუცხადა შემთავა დეპუტაციას, რომ ამ ცოტა ხანში პარლამენტში წარადგენენ განსახილველად კანონ - პროექტსა აღმორჩევითი უფლების გავრცელებაზე.

პეტერბურში. ჩვენმა მთავრობამ გამოაცხადა თანხმობა გაგზავნოს, სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად, სამხედრო გემები ჩინეთის წყლებში, იმ პირობით კი, რომ თუ საფრანგეთსა და ჩინეთს შუა რამი მოხდა, ამ გემებმა მხოლოდ უცხო-ქვეყნელები უნდა დაიფარონ ჩინეთის ნავთ-საყუდლებში. ისინი არ უნდა მიუდგენ არც ერთს მეომარ მხარეს და იმოქმედონ მხოლოდ კაცთ-მოყვარეობის განზრახვით.

ხარკოვი. გუბერნიის საერო კრებამ ნება მისცა თავის გამგეობას 10,000 მანათის კრედიტისა სოფლის სკოლებისათვის შენობების ასაგებად.

მოსკოვი. გუბერნიის საერო კრებამ გადასწყვიტა გასცემდეს სესხსა წვრილი ხელისნობის წასახალისებლად.

პეტერბურში, 12 დეკემბ. დღეს სახელმწიფო რჩევაში უკანასკნელად განიხილავენ და დაამტკიცებენ დამატებით კანონს შესახებ

მემამულეთა სოლო-თამასეებისა. როგორც ისმის, ეს კანონი გამოცხადდება დეკემბრის გასულს; მას უკან, როდესაც გამოიცემა ინსტრუქციები სახელმწიფო ბანკისა მისს კანტორებისა და განყოფილებათამდ, დაიწყება თითონ ოპერაციებიც თამასეების გამოთვლისა (учета векселей). პროცენტები, როგორც ისმის, 6 იქნება და ვადა ყოველ თამასეს ექნება ცხრა თვე.

პარიში. დიპლომატიურ სადილზედ ფერისთან ჩინეთის ელჩი არ დაესწრო; ავად მოყოფობა მოიმიზეზა.

კონსტანტინოპოლის გუბერნატორის ტელეგრაფმა ამტკიცებს ანამის ხელმწიფის მოწამლვას. იმისი მეგვიდრე მხოლოდ 15 წლისაა. პირველი მინისტრი საფრანგეთის მტერია.

მოსკოვი. აქ დაიწვა ებრაელთა სკოლა: ცეცხლმა შეიწირა მრავალი ბავშვი.

განსხვავანი

თაილისის ძალადის გამგეობა

აქედან საყოველთაოდ, რომ 17 რიცხვს ამა დეკემბრისს გამგეობაში იქნება ვაჭრობა ტუყის ხილის და მიხილის მოსხვს მოწვევის იჯარით აღებაზე, და ამისათვის მოიწვევიან ისინი, ვისაც სურთ ამ იჯარის აღება, რათა გამოცხადდენ გამგეობაში დანიშნულს ვადაზე, დილის 11 საათზე. იჯარის პირობების ნახვა შეიძლება გამგეობაში ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2-მდინ. (3-2)

ინვლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაი
1 მ. 10 გ.	1 მ. 40 ს.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	— — 3—

იქვე ისუიდება სხვა საქონელიც: თოფები, რეკოლეკტები, კრავატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, ღანბები, გოგონები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაგაო, კანფეტები, მურაბები, მაგუნაო, უნაგარები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახსრები, მაკინტოშინ კალენგორა—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდ სსქონელს გამოიწერს, გასაჯაგანს არაფერს არ ისდას. (100—75)

სტ 1-го января 1884 года

въ тифлисѣ будетъ издаваться

новая ежедневная (350 номеровъ въ годѣ) литературно-политическая

газета

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

подъ редакцію А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»)

Объемъ газеты — печатный листъ средняго формата; программа — общая въсѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 руб.; на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисѣ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетою обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. П. Кривенко, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, А. П. Плещеева, П. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20—11)

საკლობუსო  კალმები

რომლებთან შეიძლება წერა სულ მსკვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთადერთი საატენტო—ინვლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოკულის „სელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, განკურტები, რეკოლეკები, ლაქი, კარანდაში, შენაღი, კალმები, ბუძაყნიკები, შარტო-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სახთელი, სალესი, ცარანკები ჭურჭლების საწმუდად (ბორაგისი), თეთრულისათვის, შატარა ხაღვი იატაკისათვის კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბესმე-ნი, ზარები, ბინოკლები რეკოლეკები, ვატერპასები, შისის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწვეები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, შამოჩი, ქამრები, სარტყლები, საყუდური, შრობები, საშრობები, გრანები, ფილტრები, შნატკე-თავის. ტანისამოსის, ცხენის და შატენტანის მაკინტოშები, კრავები, საყქი-ქაღალდი გატერ-კლანკისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ.

(100—3)

მახანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე 1883 წ.

გამომცხვარი შური რუ-

სთის ფქვილისა — —1 გორ. 5 გ.

აჭარის ფქვილისა: შირ-

კულის სარისისა — —1 გ. 2 1/2

მეორისა — —1 გ. 2 გ.

იმავე ფქვილ. თორნუმი გამომცხვარი

პირველის სარისისა—1 გ. 5 გ.

მეორისა — —1 გ. 3 გ.

მესამისა — —1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის შური:

პირველის სარის. ლავაში 1 გ. 5 გ.

მეორის სარის. ლავაში 1 გ. 3 1/2

მესამისა — —1 გ. 3 გ.

ძროხის სორცი:

პირველის სარისისა—1 გ. 8 გ.

მეორის — —1 გ. 7 გ.

სუგა . . . —1 გ. 15 გ.

ცხვრის სორცი —1 გ. 8 გ.

ღორის ღორცი:

პირველის სარისისა—1 გ. 8 გ.

მეორის — —1 გ. 7 გ.

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდან ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ

5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში

7 საათ. და 49 წამ. დილისა.